პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 65 (6130)

2 აპრილი, კვირა. 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ორიენტირი — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა

## შევამოწმოთ, როგორ ვემზადებით?

**საბჭოთა** კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში საქართველოს დელეგაციის წარმატება თუ წარუმატებლობა მთლიანად დამოკიდებულია რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების საქმიანობაზე, ვინაიდან ყველა ათლეტი, რომლებიც ჩვენი ნაკრები გუნდების შემადგენლობაშია, სწორედ ამ ორგანიზაციებიდან მოდის.

საკავშირო სპარტაკიადებში მონაწილე საქართველოს დელეგაციის ძირითადი ბირთვი მაინც პროფკავშირული ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების აღზრდილები არიან ხოლმე. ცხადია, მათზე გაისადაც ბევრი იქნება დამოკიდებული, ამიტომაც იყო რომ საქართველოს პროფსაბჭომ გადაწყვიტა თავისი მორიგი რესპუბლიკური სპარტაკიადა გამართოს და შეამოწმოს ვინ როგორ ემზადება საგაისო სტარტებისთვის (რესპუბლიკური ტერიტორიული სპარტაკიადა მომავალ წელს ჩატარდება).

გამარჯვებისთვის სპორტის 14 სახეობაში იბრძოლებენ „ბურევესტნიკის", „განთიადის", „კოლმეურნის", „სპარტაკის", „ლოკომოტივის", „ვოდნიკისა" და „შრომითი რეზერვების" გუნდები. საასპარეზოდ დაიშვებიან ის სპორტსმენები, რომელთაც არანაკლებ I თანრიგი აქვთ (მძლეოსნობასა და ცურვაში — მეორე თანრიგოსნებიც). ამასთან, ყველა მონაწილეს უფლება ეძლევა მხოლოდ ერთ სახეობაში სცადოს ძალა. სპორტსმენი, რომელიც სპარტაკიადის სამანდატო კომისიას არ წარუდგენს პასპორტს, საკლასიფიკაციო ბილეთს, სასწავლებლიდან ან სამსახურიდან ცნობას, სპორტსაზოგადოების წევრობის ბილეთს და მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მოწმობას, საასპარეზოდ არ დაიშვება.

როგორია ბრძოლების სისტემა ცალკეულ სახეობაში?

კრივში დამარცხებული სარბიელს ტოვებს; ჭიდაობებში მონაწილე ასპარეზობას ეთიშება 6 საჯარიმო ქულის მიღების შემდეგ; **ძალოსნობაში** პირველობა 9 წონით კატეგორიაში ეწყობა. გუნდს უფლება ეძლევა 3 წონით კატეგორიაში 2-2 მონაწილით გამოვიდეს. ჩათვლაში შევა პირველი თანრიგისა და უკეთესი შედეგები; **სპორტულ ტანვარჯიშში** ასპარეზობა ტარდება სპორტის ოსტატობისა და სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით. აქ გუნდების შემადგენლობა 4 ვაჟით და 4 ქალით განისაზღვრება. ჩათვლას კი 3-3 იძლევა;

**ცურვა** ერთადერთია, სადაც მონაწილეს უფლება აქვს პროგრამის ყველა სახეობაში იასპარეზოს; **მძლეოსნობაში** — ერთ სახეობასა და ესტაფეტაში; **წყალში ხტომა** ოლიმპიური თამაშების რეგლამენტით გაიმართება; **მშდ კომპლექსის** პროგრამაში IV (გუნდში 2 ქალი, 2 ვაჟი) და V საფეხურების 35-44 წლის ერთი ქალი ან 40-49 წლის ერთი კაცი) ნიშნოსანთა შეჯიბრება.

სპორტსაზოგადოებას, რომელიც ამა თუ იმ სახეობაში გუნდის გამოყვანას ვერ შეძლებს, დაეწერება საჯარიმო ქულა (სახეობაში მონაწილე გუნდების რაოდენობა პლუს ერთი ქულა).

სპარტაკიადის პროგრამაშია ტანვარჯიში, ქართული, კლასიკური, თავისუფალი ჭიდაობა, ჭიდაობა ძიუდო, მშდ მრავალჭიდი, კალათბურთი, კრივი, ცურვა, მძლეოსნობა, ფრენბურთი, წყალში ხტომა, ძალოსნობა და საგზატკეცილო ველორბოლა.

სპარტაკიადა ორ ნაწილადაა გაყოფილი. შვიდ სახეობაში შეჯიბრებები პირველ ეტაპზე გაიმართება და იგი სტარტს აიღებს 7 აპრილს, ხოლო დანარჩენ შვიდ სახეობაში ასპარეზობები შემოდგომით გაიმართება.

აი, ის სახეობები, ვადები და ქალაქები, რომლებშიც სპარტაკიადის პირველი ნაწილის შეჯიბრებები ჩატარდება:

**კლასიკური ჭიდაობა.** 7-9 აპრილი, თბილისი.

**მშდ მრავალჭიდი.** 14-16 აპრილი. თბილისი.

**თავისუფალი ჭიდაობა.** 22-24 აპრილი. მცხეთა.

**კრივი.** 27-29 აპრილი. თბილისი.

**ძიუდო.** 12-14 მაისი. მცხეთა.

**საგზატკეცილო ველორბოლა.** 18-21 მაისი. მცხეთა.

**ძალოსნობა.** 26-28 მაისი. რუსთავი.

## ამერიკაში, უძლიერესთა ტურნირზე

მსოფლიო ჩემპიონატამდე, ოქტომბრის პირველ ნახევარში ფილიპინებზე რომ გაიმართება, საბჭოთა კალათბურთელები შეხვდებიან თავიანთ მთავარ მეტოქეებს აშშ-ს, კუბის, იუგოსლავიის ნაკრებ გუნდებს საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც სტარტს აიღებს 5 აპრილს ოკეანისგაღმა. ორგანიზატორებმა სამართლიანად მონათლეს იგი „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატად".

პირველ აპრილს საბჭოთა კავშირის ნაკრები ამერიკაში გაფრინდა. მის შემადგენლობაშია უკანასკნელ ამერიკული ტურნეს მონაწილეთა უმრავლესობა. აი ვინ შევიდა ნაკრებში: მოსკოველები ვ. მილოსერდოვი, ს. ერიომინი, ს. ბელოვი, ა. ლოპატოვი, ა. მიშკინი და ვ. ჟიგილიი, კიეველები ვ. ტკაჩენკო და ა. სალნიკოვი, თბილისელები მ. ქორქია და ნ. დერიუგინი, მინსკელი ა. პოპკოვი და კაუნასელი ს. იოვაიშა.

— ჩვენ გვინდა ამ ტურნირზე კიდევ ერთხელ შევამოწმოთ ახალგაზრდობა, უთხრა საკდესის კორესპონდენტს გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ა. გომელსკიმ. უდავოა ეს შეჯიბრებები კარგი საშუალებაა ზოგიერთი ტაქტიკური ჩანაფიქრის განხორციელებისა. რაც შეეხება მთავარ ამოცანას, ესაა კიდევ ერთხელ ვნახოთ ჩვენი ძირითადი მეტოქეები.

სსრ კავშირის ნაკრები გუნდი პირველ მატჩს გამართავს 5 აპრილს ქალაქ ატლანტაში იუგოსლაველ კალათბურთელებთან.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

## ნათელი მომავლის ჩირაღდანი

**საქართველოს** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი, რომელიც საყოველთაო-სახალხო განხილვისთვისაა გამოტანილი, ჩვენი ხალხის წინსვლის, ბედნიერებისა და კეთილდღეობის ბრწყინვალე დოკუმენტია.

კონსტიტუციის პროექტის განხილვა საშუალებას მოგვცემს უფრო ღრმად შევისწავლოთ ის დიდი მნიშვნელობის საკითხები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას დღევანდელ ეტაპზე.

სასიხარულოა, რომ კონსტიტუციის პროექტში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მშრომელთა ჯანმრთელობის ამაღლების ღონისძიებებს, მასობრივი ფიზკულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების საკითხებს.

„სახელმწიფო... ხელს უწყობს მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას", — ვკითხულობთ პროექტის 24-ე მუხლში.

დღეს ალბათ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდ როლს ასრულებს ფიზიკური კულტურა და სპორტი შრომითი კოლექტივების ცხოვრებაში, როგორ უწყობს ხელს მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებასა და შრომისუნარიანობის ამაღლებას. სწორედ ყოველმხრივ განვითარებულ, ფიზიკურად და სულიერად ჯანმრთელ ადამიანებს შეუძლიათ ამრავლონ მშობლიური კოლექტივის შრომითი წარმატებები.

**ვ. ბედევანიშვილი,**
**ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის" ფიზკულტურის უფროსი მეთოდისტი.**

## ჩვენი უპირველესი ამოცანა...

**საქართველოს** სსრ კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც ახლა მთელი რესპუბლიკის მშრომელები განიხილავენ, კიდევ ერთი უდიდესი დადასტურებაა იმისა, თუ რაოდენ გულისხმიერად ზრუნავენ ჩვენი პარტია და მთავრობა ადამიანთა კეთილდღეობისთვის.

კონსტიტუციის მუხლებიდან მინდა შევჩერდე ერთ-ერთზე. ესაა 39-ე მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ „საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ დასვენების უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეთათვის არა უმეტეს 41-საათიანი სამუშაო კვირის დაწესება და მთელი რიგი პროფესიებისა და წარმოებებისათვის დადგენილი შემცირებული სამუშაო დღე, ღამით მუშაობის შემცირებული ხანგრძლივობა; ყოველწლიური ფასიანი შვებულებების მიცემა, ყოველკვირეული დასვენების დღეები, აგრეთვე კულტურულ საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება; საცხოვრებელ ადგილზე დასვენების ხელშემწყობი შესაძლებლობებისა და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების სხვა პირობების შექმნა".

ეს მუხლი განსაკუთრებით დიდი ამოცანების წინაშე აყენებს ტურისტულ ორგანიზაციებს, მათ შორის თბილისის ტურისტულ კლუბს.

ახლა, როდესაც ტურისტული სეზონი ახლოვდება, ჩვენ დიდი მუშაობა მოგველის. ჩვენი ტურისტული კლუბი მზადაა საჭურველითა თუ რჩევა-დარიგებით დახმარება გაუწიოს ყველას, ვინც ტურისტულ ლაშქრობას დააპირებს.

ყოველნაირად ვეცდებით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, ჩვენთან მოსული მშრომელები თუ მოსწავლეები გულნატკენნი არ დავრჩნენ.

**პ. კუპატაძე,**
**თბილისის ტურისტული კლუბის უფროსი.**

## კრივი

### ხიზანიშვილი — ნახევარფინალში

**ალმა-ათაში** მიმდინარეობს დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, იუგოსლავიისა და პორტუგალიის 100-ზე მეტი მოკრივე მონაწილეობს. სსრ კავშირი ოთხი ნაკრებით — ძირითადი შემადგენლობით, პროფკავშირების, „შრომითი რეზერვების" და ყაზახეთის ნაკრები გუნდებით — არის წარმოდგენილი. მონაწილეთა შორისაა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი, მიმდინარე წლის სსრ კავშირის ჩემპიონი ამირან ხიზანიშვილი (54 კგ წონითი კატეგორია). მან ორი შეხვედრა ჩაატარა და ორივეში გაიმარჯვა: ჯერ დაამარცხა „შრომითი რეზერვების" წარმომადგენელი ლავროვი, ხოლო შემდეგ ყაზახეთის წარმომადგენელი ბორისკინი. ხიზანიშვილი ნახევარფინალში გავიდა.

### გამარჯვება მეოთხე მატჩშიც

**ალმა-ათა. 31 მარტი.** დღეს ადგილობრივი სპორტის სასახლის რინგზე საბჭოთა მძიმეწონოსანმა მოკრივეებმა ამხანაგურ შეხვედრაში დაამარცხეს აშშ-ის ნაკრები — 8:2. ეროვნული ნაკრებების დონეზე სსრ კავშირისა და აშშ-ის მოკრივეთა (81 კგ-ზევით) შეხვედრების ისტორია 1975 წლის ნოემბრიდან დაიწყო. პირველი სამი მატჩი ამერიკის კონტინენტზე ჩატარდა. ყველა მატჩში საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს (საკდესი).



**დამთავრდა** მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქების ნაკრები გუნდების შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში, რომელიც თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე მიმდინარეობდა.

სურათზე: ტურნირის პრიზიორი, ალმაათელი ტ. პოლევაია.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

(შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-3 გვ.).

## გულწრფელი მადლობა

წერილი რედაქციას

**15 და 29 მარტს** მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელებს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე მოუწიათ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ოფიციალური მატჩების ჩატარება ისეთ ძლიერ მეტოქეებთან, როგორებიცაა ესპანეთის „რეალ-ბეტისი" და ავსტრიის „აუსტრია". არჩევანი თბილისზე შევაჩერეთ არა მარტო იმიტომ, რომ მას შესანიშნავი სტადიონი აქვს და ამინდიც ხელსაყრელი გვეგულებოდა. ღრმად ვიყავით დარწმუნებული, რომ ფეხბურთის მცოდნე თბილისელი მაყურებელი შეგვიქმნიდა საკუთარი კედლების იმ განწყობას, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ტურნირში 2-მატჩიანი სისტემით.

ჩვენი არჩევანი უშეცდომო გამოდგა: ორივე მატჩში ტრიბუნებიდან ვგრძნობდით ისეთ მხარდაჭერას, რომელსაც ვერც ვინატრებდით. ქართველმა გულშემატკივრებმა დაუფასებელი შემწეობა გაგვიწიეს ორივე მატჩის მოგებაში და ამისთვის დიდი მადლობა მათ მოსკოვის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივის ყველა წევრისგან.

**ბ. სევიდოვი,**
**მოსკოვის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი.**

# საბჭოთა სპორტის დროშა — დიდების მწვერვალებზე!

### საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის ვეტერანების მიმართვა რესპუბლიკის ახალგაზრდობისადმი

**საბჭოთა** საქართველო გიგანტური ნაბიჯებით უახლოვდება საოცწლიან მიჯნას. შენდება, მშვენდება და ლამაზდება ჩვენი სამშობლო. მწყობრში დგება ახალი ელექტროსადგურები, ფაბრიკები და ქარხნები, სკოლები და ბავაშაღები, საცხოვრებელი კორპუსები და დასასვენებელი სახლები, სტადიონები და სპორტული დარბაზები. თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, მეჩაიეები და მეციტრუსეები, მხვნელ-მთესველები და მეფოლადეები. ახალ სიმაღლეებს იპყრობენ ჩვენი მეცნიერები და მწერლები, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები, ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები.

და აი, კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი გადაიშალა ჩვენი რესპუბლიკის ისტორიაში: გამოქვეყნდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომლის თითოეული მუხლი, სტრიქონი და სიტყვა ხალხის კეთილდღეობისთვის ზრუნვითაა გამსჭვალული. მზიური საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მოსახლეობის ჯანმრთელობის ამაღლების ღონისძიებებს, მასობრივი ფიზკულტურის, სპორტის და ტურიზმის განვითარებას.

შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ამ დღეებში, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვის დღეებში, გადავწყვიტეთ გაგესაუბროთ თქვენ, ჩვენო გოგონებო და ბიჭებო, ქალიშვილებო და ჭაბუკებო, ჩვენო მომავალო და იმედო! დღევანდელი საუბარი-მოწოდება ეხება ყველას, დიდსა და პატარას, ვინც ეზიარა ან უნდა ეზიაროს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მირონცხებულ წადილს, ვისაც სურვილი აქვს იყოს ჯანმრთელი და ჩაუქი, ძლიერი და ამტანი; გეხებათ თქვენც, ფიზკულტურისა და სპორტის ენთუზიასტებო, მწვრთნელებო, მასწავლებლებო, აღმზრდელებო და მშობლებო!

ფიზიკური კულტურა და სპორტი ძალუმად შეიჭრა ჩვენს ცხოვრებაში და მეგობარივით მტკიცედ დამკვიდრდა. ეს პროცესი, ფიზკულტურისა და სპორტის ადამიანთა ყოველდღიურობაში დამკვიდრების პროცესი, უხსოვარ დროში იღებს სათავეს. ჩვენი ხალხი დასაბამიდან ავლენდა მიდრეკილებას ფიზიკური სრულყოფისადმი, სხეულისა და სულის ჭრთობისადმი. ურიცხვ მტრებთან ბრძოლებში გამობრძმედილი ქართველი კაცი, რომელსაც, როგორც წესი, ერთ ხელში გუთანი ეპყრა, მეორეში კი — ხმალი, ყოველთვის გამოირჩეოდა სიჩაუქითა და სიმარჯვით, მოხერხებულობითა და საზრიანობით, რაინდობითა და კეთილშობილებით. ეს ძვირადღირებული თვისებები ხალხისათვის დამახასიათებელ გამოკვეთილი იმ უამრავ ხალხურ და ეროვნულ თამაშობებში, რომლებიც ჩვენმა წინაპრებმა შემოგვინახეს. დიახ, ფიზიკური კულტურა და სპორტი ყოფიერების ის სფეროა, სადაც აშკარად და მკაფიოდ ვლინდება ერის ტრადიციები, მისი ხასიათი და ბუნება.

ქართულ სპორტს დიდება და სახელი არასოდეს მოჰკლებია, მაგრამ როცა ამ დარგის გლობალურ მიღწევებზე ვლაპარაკობთ, რასაკვირველია, ყოველივე ამას ვუკავშირებთ დიად ოქტომბერს, ისევე როგორც ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის მონაპოვრებს. სწორედ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიაღწია ქართულმა სპორტმა იმ წარმატებებს, რომლითაც დღეს ასე ვამაყობთ და ვხარობთ. მართლაც-და რა შეედრება იმ სიხარულს, როცა შენი თანამემამულე უშეღავათო და ლამაზ სპორტულ ბრძოლაში ოსტატობისა და საზრიანობის, ნებისყოფისა და სულიერი სიმტკიცის მაღალ თვისებებს ავლენს, როცა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე შედგება და შენი სამშობლოს ჰიმნი აჟღერდება. გულში უცნაური სითბო ჟღერება და კანონიერი სიამაყის გრძნობა გეუფლება...

დიდი სპორტი იყო, არის და მუდამ იქნება სიძნელეების დაძლევა, მის ციცაბო ბილიკებზე სიარული ხელეწიფებათ მხოლოდ ძლიერ, გაბედულ ადამიანებს. მაგრამ სპორტსმენი პირველყოვლისა რაინდი უნდა იყოს, კეთილშობილი, თავმდაბალი, პატრიოტი თავისი ერისა; იგი ხომ მშობლიური კუთხის, კოლექტივისა თუ ქვეყნის ღირსების დამცველია. ეს თვისებები განსაკუთრებით ძვირად ფასობს ახლა, როცა ასე გაღრმავდა ქვეყნებს შორის სპორტული კავშირები, ასე გახშირდა საერთაშორისო შეჯიბრებები. ქართველი სპორტსმენების რაინდულ კეთილშობილებაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. გავიხსენოთ თუნდაც ჩვენი სახელმოხვეჭილი მოჭიდავე, ფალავანთა ფალავანი ლევან თედიაშვილი. მან ჩვენი ქვეყნის 1973 წლის ჩემპიონატზე მაყურებელთა განსაკუთრებული სიმპათიები დაიმსახურა არა მარტო ვირტუოზული ჭიდაობითა და თვალშეუვლები ილეთებით, არამედ იმითაც, რომ გამარჯვებულის კვარცხლბეკზე მდგარმა თავაზიანად გადაულოცა ყვავილების თაიგულები და ფასიანი საჩუქრები ალმაათელ პეტრე სურიკოვს, რომელმაც მასთან ფინალურ ორთაბრძოლაში სერიოზული ტრავმა მიიღო.

იაპონურ პრესაში ფართო გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს მოჭიდავეთა დელეგაციის ჰუმანურმა საქციელმა; ჩვენმა სპორტსმენებმა, რომლებიც ამომავალი მზის ქვეყნის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად მიეშურებოდნენ, გზად ალმოდებული სახლი შენიშნეს, სასწრაფოდ გააჩერეს ავტობუსი და ცეცხლს ეკვეთნენ.

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ფიზკულტურასა და სპორტს ერთი უცნაური თვისება აქვს: ასაკს არად დაგიდევს, როცა არ უნდა მივმართოთ, მუდამ მზადაა დახმარების ხელი გამოგვიწოდოს. მთავარი ისაა, რომ დავძლიოთ პირადი გულგრილობა და ინერცია და დავეწაფოთ ფიზკულტურასა და სპორტის თავანკარა წყაროს, ჯანმრთელობისა და სიმხნევის ამ უებარ წამალს.

განუზომლად დიდია ფიზკულტურისა და სპორტის მნიშვნელობა დღევანდელ ეპოქაში, როცა ცხოვრებამ ჩვენს წინაშე ახალი ამოცანები დააყენა.

ფიზიკური ვარჯიში და აქტიური დასვენება საჭიროა იმისთვის, რომ მუშამ ხალისიანად იმუშაოს თავის დაზგასთან, რომ გლეხი თავგამოდებით შეეჭიდოს საკოლმეურნეო მინდვრებს, ხოლო მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა — მეცნიერების მწვერვალებს. ამოცანა ის არის, რომ მივაღწიოთ ფიზკულტურისა და სპორტის ჭეშმარიტ მასობრიობას.

მასობრივი ფიზკულტურა და სპორტი — აი, რა უნდა იყოს ჩვენი მუშაობის თავი და თავი. ძირფესვიანად უნდა გარდავქმნათ მთელი ჩვენი საქმიანობა, რომ ფიზკულტურა და სპორტი მტკიცედ დამკვიდრდეს ყოველი მშრომელის ცხოვრებაში, რომ მუშა და კოლმეურნე, მოსწავლე და სტუდენტი, მეცნიერი და ხელოვანი ხალისითა და შემართებით ასრულებდეს ყველა იმ საქმეს, რასაც მათგან სამშობლო და პარტია მოითხოვს.

უნდა ვეძებდეთ ნიჭიერ ახალგაზრდებს არა მარტო დიდ ქალაქებში, არამედ პერიფერიებშიც, მეტი ზრუნვა და მონდომება უნდა გამოვიჩინოთ მაღალი კლასის სპორტსმენების აღზრდისთვის.

უნდა ვაშენოთ ახალი სპორტული ბაზები, გავაცხოველოთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდა, ყოველმხრივ დავუჭიროთ მხარი და ავამაღლოთ ინტერესი სპორტისადმი, მივიზიდოთ ქალიშვილები და ჭაბუკები სტადიონებზე, დარბაზებში, აუზებზე. უფრო სრულად გამოვიყენოთ საუკეთესო ფიზკულტურული კოლექტივებისა თუ ცალკეული მწვრთნელების გამოცდილება.

საქართველოს ფიზკულტურელებო და სპორტსმენებო!

წინ მეტად პასუხსაგები სპორტული ასპარეზობებია: მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადა, საბჭოთა კავშირის ხალხთა ზაფხულის VII სპარტაკიადა, მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშები.

თქვენ უნდა ამრავლოთ ქართული სპორტის სახელოვანი ტრადიციები, დიდების მწვერვალებზე უნდა ატაროთ საბჭოთა სპორტის დროშა, უნდა შეითვისოთ და შეისისხლხორცოთ დღევანდელი დღის სიდიადე და მნიშვნელობა.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თქვენი ნიჭი, უნარი და დაულალავი მცდელობა სასურველ შედეგს გამოიღებს, რომ კვლავაც ახალი, ბრწყინვალე ფურცლებით შეევსება სამამულო სპორტის სახელოვანი მატიანე.

**რესპუბლიკის სპორტის ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით: მ. ცხვედაძე,** საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, **თ. სხირტლაძე,** საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, **გ. მერკვილაძე,** საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, **ბ. პაიჭაძე,** საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, **ე. გოკიელი,** საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, **ნ. დუმბაძე,** საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, **გ. შხვაცაბაია,** აკადემიკოსი, მშდ კომპლექსის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, სსრ კავშირის პირველი რეკორდსმენი და ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში, **ნ. ასათიანი,** სპორტის დამსახურებული ოსტატი, **გ. კარტოზია,** სპორტის დამსახურებული ოსტატი, **ვ. ბალავაძე,** სპორტის დამსახურებული ოსტატი, **ო. ქორქია,** სპორტის დამსახურებული ოსტატი, **თ. გოთუა,** სპორტის ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმის ქალთა სპორტის სექტორის უფროსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, **მ. ჯუღელი,** საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, **ო. დიდებულიძე,** საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

## [illegible]

### ✦ სამტრედია

კომკავშირის რაიონული კომიტეტის თაოსნობით „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართულ ნორჩ ავტომოყვარულთა შეჯიბრება-კონკურსში რაიონის 10 საშუალო სკოლის 150-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გზებზე და გზატკეცილებზე მოძრაობის წესების ცოდნაში. საუკეთესო მომზადება გამოავლინეს ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის ავტომოყვარულებმა.

**ა. სირაძე.**

• • •

დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფრენბურთში. სასპარეზოდ გამოვიდა გოგონათა 7 და ჭაბუკთა 12 გუნდი.

გოგონათა ტურნირში I ადგილი დაიკავა ილორის საშუალო სკოლის ნაკრებმა, ვაჟთა შორის კი გომის საშუალო სკოლის ფრენბურთელებმა გაიმარჯვეს.

**ი. ნიკოლეიშვილი.**

### ✦ ზესტაფონი

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მოეწყო ფიზკულტურის საზოგადოებრივი ინსტრუქტორების მორიგი გამოშვება. 28 მოსწავლემ წარმატებით ჩააბარა საკვალიფიკაციო გამოცდები და ისინი მშობლიურ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ორი სპეციალობით დაუბრუნდებიან.

**ა. განუგრავა.**

### ✦ თერჯოლა

„კოლმეურნის“ რაისაბჭომ ჩაატარა ქალთა შეჯიბრება 500 მეტრზე კროსში. 14 გუნდს შორის იმარჯვა ქვედა სიმონეთის ნაკრებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ სიქთარვისა და ბარდუბნის მძლეოსნები.

**ვ. კუტალაძე.**

## წოდებათა მინიჭება

**საქართველოს** სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ერთიანი საკლასიფიკაციო ნორმებისა და მოთხოვნების შესრულებისთვის ქართულ ჭიდაობაში **სპორტის ოსტატის წოდება** მიანიჭა **დ. გაზაშვილს** (გორი, „განთიადი“).

**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება** მიანიჭა:

მეკლდეურობაში — **შ. ავსაჯანიშვილს** (თბილისი, „ბურევესტნიკი“);

მშვილდოსნობაში — **ა. შოუას** (ბათუმი, „კოლმეურნე“), **კ. გვაზავას** (სოხუმი, „სპარტაკი“):

ჩოგბურთში — **ნ. ჟორდანიას** (ბათუმი, „სპარტაკი“);

ფეხბურთში — **გ. ბაშკოვს** (ბათუმი, „სპარტაკი“), **გ. დოლენჯაშვილს** (თბილისი, „სპარტაკი“), **ა. მჭედლიძეს** (თბილისი, „განთიადი“).

„ლელო“ საგუშაგო
თბილისის საცურაო აუზზე

სპორტული ბაზების მშენებლობა — № 1 პრობლემა

## სპეციალისტთა გვერდით

**ყოველი დღე** ახლოებს თბილისში სანაპიროზე მშენებარე საცურაო კომპლექსის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადას. ახლა აქ ასობით სპეციალისტი შრომობს. დროდადრო მათ რიცხვს ავსებენ აქ შაბათობებზე მოსული სპორტსმენები.

ერთი ასეთი შაბათობა ამას წინათ ჩაატარეს თბილისში გამართული ჭაბუკ წყალბურთელთა საკავშირო პირველობის მონაწილეებმა.





*სურათებზე:* მარცხნივ — მშენებლობის მოწინავე მუშების ერთი ჯგუფი. მარცხნიდან: გ. ჰუსეინოვი, ხ. ჯეირანოვი, ბ. მანოვი, ნ. ჯიქიძე, ა. ზენიკოვი, ი. ხრიპკო, ა. მხითარიანი, ვ. გელაშვილი, გ. ჯაბახიძე; მარჯვნივ — შაბათობაზე.

ე. ხუცურაულის ფოტოები.



## მოსწავლეთა არდადეგების დღეებში



# მეათედი ქულის პრობლემა

შეჯიბრების დღეებში შეუძლებელი იყო მასთან გასაუბრება — მწვრთნელი ხან თავის აღსაზრდელებს აკვირდებოდა, ხან პოტენციურ მეტოქეებს „ზვერავდა" და უბის წიგნაკს შენიშვნებით აჭრელებდა. თბილისში გამართულ მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქების მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდების შეჯიბრებების დღეებში ერთი წუთით არ ჰქონდა მოცლა საქართველოს გუნდის უფროს მწვრთნელს, სპორტის საპატიო ოსტატს ნელი სალაძეს. ისე რომ, ჟურნალისტებს, რომლებიც მას სხვადასხვა კითხვებით მიმართავდნენ და ამა თუ იმ სპორტსმენის გამოსვლის კომენტარს სთხოვდნენ, დიდი თავსატეხი გაუჩნდათ: კითხვებზე პასუხის გაცემას მხოლოდ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ჰპირდებოდნენ...

ჩვენი ინტერვიუც ასპარეზობის შემდეგ შედგა. გამარჯვებული გუნდის მწვრთნელს დაღლილ სახეზე ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა...

— რამ გამოიწვია ესოდენ დიდი ინტერესი თბილისური ტურნირისადმი?

— მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ასეთი დიდი მასშტაბის შეჯიბრება წელს პირველად მოეწყო. მისდამი ინტერესი იმ ფაქტმაც გააძლიერა, რომ იგი სეზონის დასაწყისში ჩატარდა და ამდენად ძალების შემოწმების ჩინებულ საშუალებას წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ თბილისში ძალზე ძლიერი შემადგენლობით ჩამოვიდნენ მინსკის, ტაშკენტის, რიგის გუნდები. ცხადია, შეჯიბრებისადმი ინტერესს ერთი-ორად გაზრდიდა მასში მოსკოველი და ლენინგრადელი სპორტსმენების მონაწილეობა...

— რა მნიშვნელობას ანიჭებთ ამ ასპარეზობაში გამარჯვებას?

— როგორც აღვნიშნე, სპორტის სასახლეში საკმაოდ ძლიერმა გუნდებმა მოიყარეს თავი. ასეთ შემადგენლობაში გამარჯვება, ცხადია, თავისთავად საპატიოა.. თუმცა, ჩვენ მწვრთნელებს სხვა, უფრო შორეული მიზნებიც გვაქვს. სარკესავით გადაიშალა გუნდის ღირსება-ნაკლოვანებები...

— მაშ, თუ ასეა ჯერ გუნდის ღირსებებზე და მის თითოეულ წევრზე გვიამბეთ!

— თბილისის განათლების განყოფილების აკრობატიკისა და მხატვრული ტანვარჯიშის სპეციალიზებული სპორტული სკოლის აღსაზრდელები (რომლებიც სპორტის სასახლეში გამოდიოდნენ) ერთად სწავლობენ თბილისის კომაროვის სახელობის სკოლაში. ეს იმის საშუალებას იძლევა, რომ მათი საწვრთნელი მეცადინეობები უფრო ორგანიზებული იყოს. ამჯერად გუნდის ღირსებას შემდეგი გოგონები იცავდნენ:

ბელა სისაური — შრომისმოყვარეობითა და სტაბილური შედეგებით გამორჩეული სპორტსმენია. გუნდში მისი შეყვანის დროს მწვრთნელები არასოდეს ვყოყმანობთ.

ინგა საკაშვილი — მომხიბვლელი, გრაციოზული, მეტად მოქნილი და ჩინებული ბუნებრივი მონაცემების მქონე გოგონაა.

ტანმაღალი მონიკა გუნია მეტად მოძრავია, მოხერხებულად ფლობს საგნებს — გურზას, ლენტს, სახტუნელას, ბურთს.

16 წლის ქეთინო კუჭავა დიდი პოტენციის მქონე ტანმოვარჯიშეა, ბოლო ხანებამდე ქეთინო ჩრდილში იდგა, წელს კი ქალაქის პირველობაზე ჩინებულად გამოვიდა და მწვრთნელებისა და სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურა. ჩვენ უყოყმანოდ მივანდეთ მას ნაკრები გუნდის ინტერესების დაცვა. დებიუტანტმა სავსებით გაგვიმართლა იმედები და სამ სახეობაში ფინალში გავიდა.

ნანა ფოცხიშვილი. შეჯიბრებებზე ყოველთვის მოხდენილად გამოდის. გამოირჩევა ვარჯიშის შესრულების კლასიკური მანერით.

მარინა ხალილოვამ ყურადღება შარშანაც მიიქცია, როცა სოხუმში გამართულ საკავშირო პირველობაზე II ადგილი მოიპოვა. მას შემდეგ მარინა დღითიდღე იმაღლებს ოსტატობას, გამოირჩევა საკუთარი ხელწერით, დიდი არტისტიზმითა და ლაღი მოძრაობებით.

მარინას ყოველი შენიშვნა გულთან ახლოს მიაქვს და ცდილობს მის გამოსწორებას — აი, მისი წარმატების საიდუმლო.

— ორიოდე სიტყვა თქვენს პრობლემებზეც გვითხარით...

— არ მეგულება სპორტული კოლექტივი, რომელსაც პრობლემები არ ჰქონდეს გადასაჭრელი, ჩვენი გუნდი გამონაკლისი როდია.

— მაინც რა გაღელვებთ?

— აი, თუნდაც 0,1 ქულის პრობლემა. ნუ გიკვირთ! მხატვრულ ტანვარჯიშში 0,1 ქულაც კი ჩათვლაში შედის. მოდით, მათემატიკას მივმართოთ: თუ გუნდის ხუთი წევრი 0,1 ქულას დაჰკარგავს, საბოლოო ჯამში 0,5 ქულა გამოდის. ხუთი სავარჯიშოს ჯამში კი 2,5 ქულა იკარგება! აი, ხედავთ, რას წონის 0,1 ქულის პრობლემა?

ცხადია, ეს და კიდევ სხვა პრობლემები დროულად უნდა დავძლიოთ.

— დაბოლოს ტრადიციული კითხვა: გვიამბეთ თქვენი გუნდის გეგმების შესახებ.

ჩვენი მთავარი მიზანია ტაშკენტის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე კარგად გამოსვლა, რომელიც შემოდგომაზეა დაგეგმილი. ამ დროისთვის ვიმედოვნებთ გამოჯანმრთელდება გუნდის წამყვანი წევრი ირინე ჟემჩუჟინა, რომელმაც ამას წინათ მენისკის ოპერაცია გაიკეთა. უახლოესი შეჯიბრება კი ოდესაში გამართული საკავშირო პირველობა იქნება.

მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვისაც წვლილი მიუძღვის შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებაში: ქორეოგრაფებს, აკომპანიატორებს, აკრობატიკისა და მხატვრული ტანვარჯიშის სპეციალიზებული სპორტული სკოლის მთელ კოლექტივს...

ო. კუსიანი.

### ტექნიკური შედეგები

**გუნდური.** 1. თბილისი — 224,25, 2. ტაშკენტი — 224,0, 3. რიგა — 219,25.

**პირადი. უსაგნოდ.** 1. ს. კარპეჩენკო (მინსკი) — 18,45, 2. მ. ხალილოვა (თბილისი) — 18,25, 3. ო. ტიმოფეევა (ტაშკენტი) — 18,2. **ლენტი.** 1. ს. კარპეჩენკო 18,7, 2. მ. ხალილოვა — 18,55, 3. ქ. კუჭავა (თბილისი) — 18,25, **ბურთი.** 1. ო. ტიმოფეევა — 18,8, 2. მ. ხალილოვა — 18,6, 3. მ. რომანე (რიგა) — 18,5, **გურზა.** 1-2. მ. ხალილოვა, ო. ტიმოფეევა — 18,6, 3-4. ი. გურკო (ტაშკენტი), ტ. პოლევაია (ალმა-ათა) — 18,5, **სახტუნაო.** 1. მ. ხალილოვა — 18,6, 2. ო. ტიმოფეევა — 18,55, 3-4. ფ. ბახტიოზინა და ი. მაკარენკო (ორივე — ტაშკენტი) — 18,4, **მრავალჭიდი.** 1. მ. ხალილოვა — 46,05, 2. ო. ტიმოფეევა — 45,85, 3-4. ს. კარპეჩენკო, მ. რომანე — 45,05.

• • •

**სურათებზე:** ასპარეზობაში გამარჯვებული საქართველოს გუნდი (მარცხნიდან): ი. საკაშვილი, მ. გუნია, ნ. ფოცხიშვილი, ქ. კუჭავა, მ. ხალილოვა, ბ. სისაური; ტაშკენტელი ო. ტიმოფეევა და რიგელი მ. რომანე.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

# მეგობრობა მყარად და ხიდად

**ეს იყო** ხუთი წლის წინათ. თბილისის გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშული სკოლის მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ნ. ბახუტაშვილი პოლონეთში მიიწვიეს, რათა იქ ტანვარჯიშის სექციას ჩასდგომოდა სათავეში. სწორედ მას შემდეგ დაიწყო კრაკოვის „ვისლასა" და სპორტსკოლის ტანმოვარჯიშეთა მეგობრობა და წელს კიდევ ერთხელ ეწყობა მათ შორის საერთაშორისო სამატჩო შეხვედრა, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა VII და მოსწავლეთა XV სპარტაკიადებს ეძღვნება. ამჯერად პოლონელებს თბილისი მასპინძლობს.

შეჯიბრების წინ ჩვენი კორესპონდენტი ეწვია თბილისის გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშულ სკოლას და სთხოვა მის დირექტორს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს მიხეილ იმნაძეს რამდენიმე სიტყვით მოეთხრო ამ შეხვედრის შესახებ.

„პოლონელებს შეერკინება შვიდი ქართველი ტანმოვარჯიშე: ქ. ციმაკურიძე, ნ. ნაცვლიშვილი, ნ. კაკაბაძე, თ. კაკაშვილი, დ. ბოდაველი, მ. გრძელიშვილი და ს. მაისურაძე. აღსანიშნავია, რომ ქ. ციმაკურიძე და ნ. ნაცვლიშვილი საკმაოდ გამოცდილი სპორტსმენები არიან, მათ არაერთხელ უასპარეზიათ უნგრელ და პოლონელ ტანმოვარჯიშეებთან. ეს ტურნირი იმითაც საინტერესოა, რომ მასში პირველად მიიღებენ მონაწილეობას 9-12 წლის გოგონები, მაგალითად ნ. კაკაბაძე, რომელიც ჯერ მხოლოდ 9 წლისაა და უკვე სპორტის ოსტატობის კანდიდატის პროგრამით გამოდის.

ტურნირი დღეს დამთავრდება. ცალკეულ იარაღებზე გამარჯვებულნი დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თასებითა და სიგელებით".

ტანვარჯიში

რ. შანშიაშვილი.

ჭიდაობა

## მასპინძლებს — 5 პირველი ადგილი

**სამტრედიის** სპორტკომიტეტის სპორტულ დარბაზში ჩატარდა „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს 1978 წლის პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც 1961-1962 წლებში დაბადებული 82 სპორტსმენი მონაწილეობდა. ტურნირში ასპარეზობდნენ თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ბოლნისის რაიონის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, საგარეჯოსა და სამტრედიის მოჭიდავეები. კარგად იასპარეზეს მასპინძლებმა, რომლებმაც ხუთი პირველი ადგილი დაიკავეს (მწვრთნელები ლ. კუჭუხიძე და ო. თავბერიძე). წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულები გამოვიდნენ: ტ. ბერუაშვილი (თბილისი), ზ. ყიფშიძე, შ. ბეალავა (ორივე ბოლნისი), გ. გარგაძე (სოხუმი), რ. ესვანჯია (სამტრედია), ზ. მაღრაძე, თ. მაისურაძე (ორივე ბოლნისი), პ. კოხრეიძე, ვ. გუგულავა (ორივე სამტრედია), ი. ბერიაშვილი (თბილისი), ბ. გეგეშიძე, ვ. ვაშაკიძე (ორივე სამტრედია), ა. სულიაშვილი (თბილისი).

ი. ნიკოლაიშვილი.

# ბაკურიანი. სეზონის ბოლო სტარტები

თხილამურები

წლევანდელი სეზონის ბოლო ოფიციალური შეჯიბრება, რომელსაც ბაკურიანი მასპინძლობდა, 1964-65 წლებში დაბადებულ მოზარდთა საკავშირო პირველობა იყო. სამთო-მოთხილამურეებს ბედი არ ღალატობდათ: სტარტამდე ერთი დღით ადრე უხვად მოთოვა, ხოლო მერე მზიანი დარი დადგა. თუმცა, სწორედ ეს გახლდათ იმის მიზეზი, რომ კოხტაგორამ ნისლი მოიკიდა და გრაფიკში ერთგვარი ცვლილებები მოხდა.

თავდაპირველად უძლიერესები სწრაფდაშვებაში გამოვლინდნენ. 1300-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 550 მ., 16 კარი) 26 გოგონა ცდიდა ძალას. მასპინძლებიდან საუკეთესო გამოდგა ქ. მესხიშვილი (განათლების სამინისტრო), რომელმაც XI ადგილი დაიკავა (1.18,96) და გუნდს ათი ქულა შესძინა.

გამარჯვება წილად ხვდა გ. სუნგატოვას — 1.10,77. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ტ. ველიკორედჩანინა (ორივე — რსფსრ, ჩუსოვო) — 1.13,7 და ე. პორუკაევა (უკრაინა) — 1.14,44.

43 ვაჟი იმავე ტრასაზე იბრძოდა გამარჯვებისთვის. საქართველო ამჯერად გაცილებით მეტი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი. მათგან რამდენიმე პირად პირველობაში ცდიდა ძალას. ჩემპიონი გახდა კ. სეროვი (მოსკოვი, 1.11,36), რომელმაც თბილისელ ი. შუბაშვილს (განათლების სამინისტრო) მხოლოდ 0,4 წამით აჯობა. შუბაშვილი პირად პირველობაში ასპარეზობდა. მესამე ადგილზე გავიდა ე. პრუდნიკოვი (კრასნოიარსკი) — 1.13,11.

მასპინძლებიდან კარგად დაეშვნენ ბორჯომელები გ. ორჯონიკიძე („შრომითი რეზერვები") — 1.14,75 და პ. გელაშვილი („დინამო") — 1.15,26. მათ შესაბამისად პირად ტურნირში VII და XII ადგილები მოიპოვეს. დინამოელმა გ. დიაკონაშვილმა ტრასა 1 წუთსა და 15,37 წამში დაამთავრა და გუნდს 14 ქულა შესძინა.

მერე მოზარდები ერთმანეთს შეეჯიბრნენ გიგანტურ სლალომში. გოგონები იბრძოდნენ 1200-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 450 მ), რომელზეც 44 კარი იყო დადგმული. ამ სახეობაში ისე, როგორც მერე სპეციალურ სლალომში უძლიერესი აღმოჩნდა პორუკაევა. აქ მისი შედეგი (1.09,13) ბევრად სჯობს გ. კარიმოვასა (რსფსრ, უფა) — 1.12,98 და ა. კოლბასოვას (მოსკოვი) — 1.13,61 მაჩვენებლებს.

ქ. მესხიშვილი ამჯერად მე-15 გახლდათ — 1.19,98 (9 ქულა),

ბიჭების შეჯიბრება აქაც სეროვმა მოიგო — 1.07,59. მეორე ადგილზე გავიდა ლ. მელნიკოვი (რსფსრ, კიროვსკი) — 1.08,35. მესამეზე — მ. კუდრიავცევი (რსფსრ) — 1.08,87.

მასპინძლებიდან ამჯერად საუკეთესო იყო საქართველოს გუნდის წევრი გ. დიაკონაშვილი, რომელმაც მეხუთე ადგილის მოპოვებით (1.09,18) რესპუბლიკის ნაკრებს 19 ქულა შესძინა. ა. მიქაბერიძემ („დინამო") კი მე-13 ადგილი გაიყო (1.11,95) და რვა ქულა მოიპოვა.

ჩემპიონატი სპეციალურ სლალომში შეჯიბრებით დამთავრდა. 350-მეტრიან ტრასაზე მონაწილეებს 45 და 44 კარი უნდა გაევლოთ. როგორც აღვნიშნეთ, გოგონებში პორუკაევამ აჯობა ყველას (1.24,07), მან სუნგატოვას 1,17 წამით აჯობა. კარიმოვამ სუნგატოვასთან 0,06 წამი წააგო და მესამე ადგილს დასჯერდა. მესხიშვილი მე-19 ადგილზეა (1.36,24), მაგრამ გუნდისთვის 5 ქულის მოპოვება მაინც მოახერხა.

ბიჭების შეჯიბრებაში პრიზიორები გახდნენ: მელნიკოვი — 1.17,52, პ. შევჩენკო (რსფსრ, კამჩატკა) — 1.18,29 და სეროვი — 1.18,83. დიაკონაშვილი — 1.22,58 და მიქაბერიძე — 1.24,68 შესაბამისად VII და XII ადგილებზე აღმოჩნდნენ.

გუნდურ ტურნირში მოსკოველებმა 198 ქულა მოაგროვეს. ჩუსოვოელებმა (რსფსრ) — 174, ხოლო კიროვსკელებმა (რსფსრ) — 147. საქართველოს ნაკრები VIII ადგილზეა — 100 ქულა. ამ ასი ქულიდან 47 გ. დიაკონაშვილის წილად მოდის.

მ. ზაქარეიშვილი.



# „რეგბის სკოლა“ ჭიათურაში

ჭიათურა, 31 მარტი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს სტადიონზე დამთავრდა რეგბიში საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრები.

მესამე ტურში საინტერესო გახლდათ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ქუთაისის „სახლმშენის“ გუნდების მატჩი, რომელიც სავსე იყო უაღრესად საინტერესო მომენტებით. დაძაბულმა ორთაბრძოლამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 12:12.

გათამაშების ცხრილში პირველი მოგება ჩაიწერა ჩოხატაურის „ლელომ“ (მან დაამარცხა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის გუნდი — 7:4).

თბილისის „სპარტაკმა“ დიდი ანგარიშით (45:0) მოუგო ჭიათურის კოლექტივს.

ჩემპიონატის მეოთხე ტურში მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია „სპარტაკისა“ და სპი-ს მატჩმა. გაიმარჯვა „სპარტაკმა“ — 3:0.

ამ დღეს მასპინძლებმა მორიგი მარცხი იწვნიეს და კვლავ „მშრალი“ ანგარიშით. ამჯერად „ლელოსთან“ შეხვედრაში — 0:23. „სახლმშენმა“ მოუგო მედინსტიტუტს — 21:14.

ბოლო ტურში გამართული მატჩები ასეთი შედეგებით დამთავრდა: „სახლმშენი“ — „ლელო“ 18:4, „სპარტაკი“ — მედინსტიტუტი 18:10, სპი — ჭიათურა 48:8.

ამრიგად, პირველი წრის შემდეგ სატურნირო ცხრილის სათავეშია თბილისის „სპარტაკი“ (მწვრთნელი ბ. კველიშვილი), რომელსაც 9 ქულა აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან „სახლმშენი“ — 8, სპი — 7, „ლელო“ — 4, მედინსტიტუტი — 2 და ჭიათურა — 0.

ჩატარებული შეხვედრების შემდეგ ბომბარდირთა სიას სათავეში უდგას ქუთაისელი დ. ხომაშურიძე, რომელმაც თავის კოლექტივს 40 ქულა შესძინა.

ვ. ბარჯაძე.

• • •

სურათზე: „სახლმშენისა“ (თეთრ მაისურებში) და ჭიათურის სამთამადნო კომბინატის გუნდების შეხვედრის მომენტი.

რ. ბუხრაშვილის ფოტო.

## „სპორტლოტო“

გუშინ მოსკოვში გაიმართა „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი, მე-13 ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები:
პირველი: 1, 2, 15, 20, 25.
მეორე: 5, 11, 15, 22, 31.

## სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის. საქართველოს ზონა. 2. აპრილი. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „ინტერნატი“ (თბილისი). დასაწყისი 11 ს. მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი. განათლების განყოფილება (თბილისი) — „დინამო“ (სოხუმი). 12 ს. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. „განთიადი“ (თბილისი) — „დინამო“ (ბათუმი). 14 ს.

# ჭაბუკთა შორის

ქუთაისში ოთხ დღეს მიმდინარეობდა რესპუბლიკის უწყებათაშორისო პირად-გუნდური პირველობა კრივში ჭაბუკებს შორის (1961-1962 წლებში დაბადებულნი). საასპარეზოდ 9 სპორტსაზოგადოების ნაკრები კოლექტივი გამოვიდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ა. მანთესაშვილი („შრომითი რეზერვები“), რ. ალოიანი („დინამო“), ა. კამიშნიკოვი („განთიადი“), გ. ფანცულაია („ბურევესტნიკი“), დ. უსუბიანი („სპარტაკი“), რ. ბუიუკლიანი („შრომითი რეზერვები“), გ. ხუციბერიძე („ლოკომოტივი“), გ. გოგია („შრომითი რეზერვები“), ა. ქვილითაია, გ. ვაშაძე, გ. ჭალაღონია (ყველა — „განთიადი“), ვ. სუხორუკოვი („სპარტაკი“), გ. ლაცაბიძე („განთიადი“).

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: „განთიადი“, „სპარტაკი“, „ვოდნიკი“.

გ. ამირხანოვი.

# „ფეხბურთის დესანტი“ ბრაზილიიდან

ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები, რომელიც არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება, ტურნეს ჩასატარებლად ევროპაში ჩამოვიდა.

ნაკრების შემადგენლობაში 21 ფეხბურთელია: მეკარეები ლეაო და კარლოსი; მცველები ტონინიო, ამარალი, ოსკარი, ედინიო, ზე მარია, პოლოზი, როდრიგეს ნეტო, აბელი; ნახევარმცველები კერეზო, რიველინო, დირსეუ, ბატისტა; თავდამსხმელები ტარსიზო, რეინალდო, ზიკო, რომეუ, ხორხე მენდოზა, ჟილი და ნუნიესი.

საკდესის კორესპონდენტი ესაუბრა ბრაზილიის გუნდის მწვრთნელს კლაუდიო კოუტინიოს.

— ბრაზილიის ნაკრები გუნდის მიერ კლუბებთან საწვრთნელი მატჩების (7:0, 3:1 და 1:0) შემდეგ ნაკრების მისამართით გამოითქვა კრიტიკული შენიშვნები. რას გვეტყვით ამის თაობაზე?

— ამ მატჩების მიხედვით, რომლებიც ჩვეულებრივი საწვრთნელი შეხვედრები იყო, არ შეიძლება დასკვნების გამოტანა. არ ვაპირებ გუნდის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანას, ვინაიდან ყველა ფეხბურთელის იმედი მაქვს.

— თქვენ იყავით ევროპაში და ნახეთ რამდენიმე მატჩი არგენტინის ჩემპიონატის ფინალისტთა მონაწილეობით. როგორია თქვენი შთაბეჭდილება?

— ჩემის აზრით ევროპული ფეხბურთი მთლიანად ერთგული რჩება 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მიერ აღიარებული პრინციპისა, რომელშიც ძირითადია უნივერსალური ტოტალური ფეხბურთის თამაში. ევროპის საუკეთესო გუნდებია ჰოლანდიისა და გფრ-ის ნაკრებები. ამასთან, ამ ქვეყნებს არამარტო ძლიერი ნაკრები გუნდები ჰყავთ, არამედ კლუბებიც.

— რა აზრისა ხართ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტებზე?

— ევროპაში მატჩების ნახვამ წინანდელი აზრი განმიმტკიცა. ფავორიტებად გფრ-ისა და ჰოლანდიის ნაკრები გუნდები მიმაჩნია. რაც შეეხება სამხრეთ ამერიკას, აქ უძლიერესები არიან არგენტინისა და ბრაზილიის გუნდები. ჩემის აზრით, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავლენ ბრაზილიისა და ჰოლანდიის ნაკრები გუნდები. მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია. ჰოლანდიელები თანამედროვე ფეხბურთს თამაშობენ, ისინი კრუიფის გარეშეც ძლიერნი არიან.

— წინა ჩემპიონატის მონაწილე რომელი ფეხბურთელი ითამაშებს წლეულს ბრაზილიის ნაკრებში?

— მხოლოდ ლეაო, ზე მარია, რიველინო, დირსეუ...

— კმაყოფილი ხართ თუ არა ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩების დონით?

— არა. მათი დონე ძალზე დაეცა. ბრაზილიაში ამჟამად არა გვყავს ისეთი გუნდები, როგორიც იყო წინათ, მაგალითად „სანტოსი“. გამონაკლისია მხოლოდ „ატლეტიკო“. რა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობა ნორმალური არ არის. რაც შეეხება ნაკრებს, ფეხბურთელთა უმრავლესობით კმაყოფილი ვარ.

— გაუწევს თუ არა პელე კონსულტაციას ბრაზილიის ნაკრებს არგენტინაში?

— არა მგონია. პელე ახლა ძალიან დაკავებულია. მას თავისი საზრუნავი აქვს, ჩვენ—ჩვენი. იგი მსოფლიო ჩემპიონატის დროს ვენესუელის ერთ-ერთი ტელესადგურის ფეხბურთის კომენტატორობას აპირებს. ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ პელეს მიერ მოწოდებულ ყოველ წინადადებასა და ნებისმიერ შენიშვნას.

— რა არის ევროპაში ტურნეს მიზანი?

—ტურნეს 19 აპრილს ინგლისის ნაკრებთან მატჩით დავამთავრებთ. ჩვენი მიზანი იყო გუნდის შეწყობილი თამაშისთვის მიგვეღწია. 26 მაისს, მსოფლიო ჩემპიონატამდე ერთი კვირით ადრე, გავემგზავრებით მარ-დელ-პლატაში (არგენტინაში).

## რ. სარვაზიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გარდაიცვალა სპორტის ოსტატი ტანვარჯიშში, „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანასთან არსებული ბავშვთა სპეციალიზებული სპორტული სკოლის დირექტორი რობერტ რაფაელის ძე სარვაზიანი.

მას ახლა მეორმოცე გაზაფხული უნდა ეზეიმა, მაგრამ...

სარვაზიანმა თბილისის 38-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში, რომლის სრული კურსის დასრულებისთანავე მუშაობა დაიწყო საავიაციო ქარხნის სპორტკლუბ „განთიადში“ საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტად და კლუბთან არსებულ ბავშვთა ტანვარჯიშული სკოლის მწვრთნელად.

1967 წელს სარვაზიანი ბავშვთა სპეციალიზებული ტანვარჯიშული სკოლის სასწავლო-ნაწილის უფროსად გადაიყვანეს, ხოლო 8 წლის მერე — განათლების სამინისტროს ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის ფილიალის ქალთა განყოფილების უფროს მწვრთნელად.

ნიჭიერი სპეციალისტი შარშან დაინიშნა საავიაციო ქარხნის სპეციალიზებული ტანვარჯიშული სკოლის დირექტორად. სარვაზიანი აქტიურად მონაწილეობდა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოსა და რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

გულისხმიერი ამხანაგის, კარგი სპეციალისტისა და აღმზრდელის სახელი დიდხანს ეხსომებათ მის მეგობრებსა და ამხანაგებს.

საქართველოს სპორტული ტანვარჯიშის ფედერაცია, „განთიადის“ ცენტრალური საბჭო.

## მსოფლიო ჭადრაკის მატიანე

# საუკუნის მატჩი

ახალი მსოფლიო ჩემპიონი ხ. კაპაბლანკა თაყვანისმცემლებმა დიდების შარავანდედით შემოსეს, მას ყველგან ოვაციით ხვდებოდნენ.

1922 წელს ლონდონში კაპაბლანკას პატივსაცემად მოეწყო დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ე. ლასკერის გარდა იმდროინდელი მსოფლიოს ყველა გამოჩენილმა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა. კაპაბლანკამ დამაჯერებლად გაიმარჯვა (+11=4). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ა. ალიოხინი, მ. ვიდმარი, ა. რუბინშტეინი, ე. ბოგოლიუბოვი, რ. რეტი და სხვ.

ამ შეჯიბრების დროს კაპაბლანკამ პრეტენდენტებს გააცნო თავისი მოსაზრებანი მსოფლიო პირველობაზე მატჩის თამაშის თაობაზე. კოლეგებმა მოიწონეს ეგრეთწოდებული „ლონდონის ოქმი“ და ხელიც მოაწერეს მას. აი, ამ ოქმის ზოგი მუხლი: მატჩი გაიმართება ექვს მოგებულ პარტიამდე, ყაიმები მხედველობაში არ მიიღება; კვირაში ექვსი დღე თამაშს დაეთმობა; თითოეულ მონაწილეს შეუძლია გააცდინოს სამი პარტია ავადმყოფობის გამო; მსაჯი დაინიშნება ორივე მეტოქესთან შეთანხმებით; მსოფლიო ჩემპიონი ვალდებულია ითამაშოს მატჩი გამოწვევიდან ერთი წლის მანძილზე; საპრიზო ფონდი აუცილებლად უნდა იყოს 10 ათასი დოლარი; პრეტენდენტმა მატჩში გამოწვევისას გირაოდ უნდა შეიტანოს 500 დოლარი.

ამერიკელებს სჯეროდათ კაპაბლანკას უძლეველობისა და 1924 წელს ნიუ იორკში დიდ საერთაშორისო ტურნირში საასპარეზოდ ყველა გამოჩენილი დიდოსტატი მიიწვიეს. შეჯიბრებას უზარმაზარი რეზონანსი ჰქონდა.

ლიდერობას თავიდანვე ლასკერი დაეუფლა და ბოლომდე შეინარჩუნა იგი. კაპაბლანკამ სძლია მას პირად შეხვედრაში, მაგრამ ქულანახევრით მაინც ჩამორჩა. მესამე იყო ალიოხინი. გამეორდა პეტერბურგის 1914 წლის ტურნირის შედეგები.

1925 წელს პირველად სსრ კავშირში, მოსკოვში, მოეწყო საერთაშორისო ტურნირი კორიფეების — ლასკერის, კაპაბლანკას, რუბინშტეინის, მარშალის, რეტისა და სხვების მონაწილეობით.

ფინიშთან პირველი იყო სსრ კავშირის იმდროინდელი ჩემპიონი ბოგოლიუბოვი, მეორე — ლასკერი, ხოლო მესამე — კაპაბლანკა.

ლასკერმა მერეც, ვიდრე ძლიერად თამაში შეეძლო, მოსკოვის 1935 წლის ტურნირში გაუსწრო კაპაბლანკას, პარტიაც მოუგო. კაპაბლანკამ მას მხოლოდ მოსკოვისა და ნოტინგემის 1936 წლის ტურნირებში აჯობა, როცა ლასკერი უკვე 68 წლისა იყო.

ნიუ იორკსა და მოსკოვში შედარებითმა წარუმატებლობამ ჩრდილი მიაყენა კაპაბლანკას სახელს. საზოგადოება მოწონებით შეხვდა ალიოხინის გამარჯვებას ბადენ-ბადენის 1925 წლის საერთაშორისო ტურნირში და კმაყოფილი შეხვდა მის მიერ მატჩში კაპაბლანკას გამოწვევას. საპრიზო ფონდიც სწრაფად შეიკრიბა. საინტერესოა, რომ მატჩის მოწყობა იკისრეს კაპაბლანკას არგენტინელმა ქომაგებმა. ისინი დარწმუნებული იყვნენ თავიანთი კერპის სიძლიერესა და გამარჯვებაში. ფულიც არ დაიშურეს. კაპაბლანკა — ალიოხინის მატჩი დაინიშნა ბუენოს-აირესში 1927 წლის შემოდგომაზე. პირობებში ნათქვამი იყო: თამაშობენ 6 მოგებამდე ყაიმების ჩაუთვლელად. ყაიმის (5:5) შემთხვევაში კაპაბლანკა ჩემპიონად რჩება.

ვიდრე საუკუნის მატჩი დაიწყებოდა, კაპაბლანკას მეგობრებმა და მეცენატებმა 1927 წლის თებერვალ-მარტში ნიუ იორკში ოთხწრიანი საერთაშორისო ტურნირი მოაწყვეს. საასპარეზოდ მხოლოდ ლასკერი არ მიიწვიეს. მასპინძლებს ეშინოდათ, უბერებელმა დიდოსტატმა ისევ არ ატკინოს გული კაპაბლანკასო. მსოფლიო ჩემპიონმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა — მოუგო მინი-მატჩი ყველა მონაწილეს; ალიოხინს, ა. ნიმცოვიჩს, ვიდმარს, რ. შპილმანსა და მარშალს.

ამ შთამბეჭდავმა წარმატებამ კაპაბლანკას დიდება დაუბრუნა, მაგრამ „თვალებიც დაუბრმავა“. მან ვერ დაინახა ალიოხინში სახიფათო მეტოქე.



პირიქით, განცხრომას მიეცა და მატჩამდე, როგორც იტყვიან, ჭადრაკი არ გაუშლია.

ალიოხინი კაპაბლანკასთან შესახვედრად 1914 წლიდან ემზადებოდა, თუმცა იმ დროს მსოფლიო ჩემპიონი ლასკერი იყო. მას ღრმად სწამდა, რომ მალე საჭადრაკო გვირგვინს კაპაბლანკა დაეუფლებოდა. ომისშემდგომ წლებში ალიოხინი ბევრს მუშაობდა ჭადრაკში, ბევრსაც თამაშობდა და დღენიადაგ სწავლობდა კაპაბლანკას თამაშს. ახლაც გაოცებას იწვევს ის ტიტანური შრომა, რომელიც მან გასწია ჭადრაკის ტახტის დაუფლებისთვის. იგი ისე ღრმად ჩაწვდა კაპაბლანკას შემოქმედებას, თამაშის მანერას, რომ მატჩში მისი სტილით თამაშობდა, რაც მსოფლიო ჩემპიონსაც აოცებდა.

XX საუკუნის ამ განუმეორებელმა მატჩმა ენით აუწერელი ინტერესი გამოიწვია. მას ბევრი წიგნი, სპეციალური გამოკვლევა მიეძღვნა.

ბუენოს-აირესში გამგზავრების წინ ალიოხინი ამბობდა:

— ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა მოუგო კაპაბლანკას ექვსი პარტია, კიდევ უფრო მიჭირს იმის წარმოდგენა, როგორ უნდა მომიგოს კაპაბლანკამ ექვსი პარტია.

მატჩისადმი ინტერესს ისიც აღვივებდა, რომ მანამდე ალიოხინს კაპაბლანკასთვის არამცთუ მოუგია პარტია, არამედ უკეთესი პოზიციაც არ მიუღია, თუმცა გაცნობიდან, 1914 წლიდან მათ ერთმანეთში 8 პარტია ითამაშეს. (კაპაბლანკამ სამი მოიგო, ხუთი ყაიმით დამთავრდა).

1927 წლის 16 სექტემბერს მატჩმა სტარტი აიღო. და აი, პირველი სენსაციაც...

თ. გიორგაძე.
(დასასრული იქნება).

• • •

სურათზე: კაპაბლანკას (მარცხნივ) და ლასკერის შეხვედრა მოსკოვის 1935 წლის საერთაშორისო ტურნირში.

რედაქტორი ა. გასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კვირისა. რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 93-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-54; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობის — 93-97-58; ქვეყნის — 93-97-26; საზღვარგარეთის — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტურის — 93-97-19; გამომშვები — 93-81-41; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.
ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02026